სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი

588301815269l9

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190575100

რეგისტრაციის თარიღი

22.05.2019 წ

ნოტარიუსი: ელენე ყიზილაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23
ტელეფონი: 995322995210; 99590411423

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველოს
სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაორ მაისს მე, ნოტარიუსს **ელენე ყიზილაშვილს,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №23, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **ზურაბ წულაიამ** (დაბადების თარიღი: 25.10.1977წ. დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი; რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, №50, ბინა 13. პირადი ნომერი: 01017012832), მან განაცხადა, რომ არის შპს **„კლაბ ჰაუზი"-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204527173; რეგისტრაციის თარიღი: 11/04/2007; მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ბეთლემის ქ., №24 დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: nana.glonti@grdc.ge) **დირექტორი,** რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **შპს „კლაბ ჰაუზი"-ს** შესახებ, მომზადებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B19037903, 02/04/2019 11:35:46**. მან მთხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ზემოთ აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, მე დავადგინე მისი უფლებამოსილება. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში.

მე შევადგინე წინამდებარე მინდობილობა და წავუკითხე მას. მე მას განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მე მას აგრეთე განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს თავისი, როგორც ზემოთ აღნიშნული საზოგადოების დირექტორის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რის შემდეგაც დავადასტურე წინამდებარე მინდობილობა სანოტარო წესით.

მინდობილობა

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაორ მაისს მე, **ზურაბ წულაიამ,** როგორც **შპს „კლაბ ჰაუზი"-ს დირექტორმა** წინამდებარე მინდობილობით **ზაზა ციციშვილს** (პირადი ნომერი: 01024002560) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. იყოს ჩემი, როგორც **შპს „კლაბ ჰაუზი"-ს** დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში და აწარმოოს კანონმდებლობით ნებადართული ყველა სახის მოქმედება **შპს „კლაბ ჰაუზი"-ს** კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ბეთლემი №24, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.03.071.004, სამშენებლო პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში დაიცვას საზოგადოების ინტერესები, მიიღოს და/ან წარადგინოს ნებისმიერი სახის და შინაარის დოკიმენტი, მიიღოს ინფორმაცია, გააკეთოს ნებისმიერი შინაარსის განცხადება/თანხმობა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს და შეუზღუდავად შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.
2. მას უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირებს.
3. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაორი აგვისტოს ჩათვლით.
4. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი გადაეცემა მარწმუნებელს, ერთი შეინახება სანოტარო ბიუროში და დანართის სახით თან დაერთვება

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „კლაბ ჰაუზი"-ს შესახებ, მომზადებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B19037903, 02/04/2019 11:35:46.**

სანოტარო ბიუროს არქივში ინახება შპს „კლაბ ჰაუზი"-ს წესდების ასლი. აღნიშნული დოკუმენტი თან ერთვის, მინდობილობის, დადასტურებული ჩემს, ნოტარიუსის ელენე ყიზილაშვილის მიერ 2018 წლის 16 ნოემბერს, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: 181408494, იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – ათი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის; დღგ – ერთი ლარი და ოთხმოცი. თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის. სულ გადახდილია: 13,80 ლარი (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

